# ხელშეკრულება №12

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი                                                                 01 იანვრი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (II თავის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23 –ე მუხლისა II პუნქტის "ა" ქვეპუნქტის) საფუძველზე.

ერთის მხრივ **შპს "ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა"** შემდგომში ***„შემსყიდველი"*** და მეორეს მხრივ **ი/მ "რაჟდენ ფაიტიანცი"** შემდგომში ***„მიმწოდებელი"*** ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს "შემსყიდველს" ლაბორატორიული მასალები (რეაქტივები)

2. გარანტია.

2.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3. ანგარიშსწორება.

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 3 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

5.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

5.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

6. გამოყენებული სამართალი.

6.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

*შპს "ბათუმის № 1 პოლიკლინიკა"*
*ტბ აბუსერიძის № 2*
*ანგარიში № GE05TB7370636080100001*
*საიდენტიფიკაციო კოდი: №245 426 392*
*მიმღების ბანკი: სს"თიბისი ბანკი"*
*ბათუმის მე-9 სერვისცენტრი*
*ბანკის კოდი: TBCBGE22*

დირექტორი /თ სურმანიძე/

„შემსრულებელი"

*ი/მ "რაჟდენ ფაიტიანცი"*
*ქ. ქუთაისი ჩერქეზიშვილის №2*
*საიდენტიფიკაციო კოდი №11285022*
*ანგ/ანგ 006715619*
*მიმღების ბანკის "საქართველოს ბანკი"*
*ბანკის კოდი: № BAGAGE22*

ი/მ " რაჟდენ ფაიტიანცი"